34(05)
1-24.

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და ვლეხთა მთავრობისა.

| 1929 წლის მაისის 16. | № 9 ვანყოფილება პირველი | ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული. |
|---|---|---|

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 83. ა/კსფსრ ტერიტორიაზე ფოტოგრაფიული, კინომატოგრაფიული და სხვაგვარი სურათის გადაღების წესის შესახებ.

„ 84. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს არაქვემდებარე ორგანოთა და დაწესებულებათა, აგრეთვე კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, სააქციო საზოგადოებათა, საკონცესიო საწარმოთა და კერძო პირთა მიერ ა/კსფსრ-ში განსახორციელებელი სამრეწველო მშენებლობის პროექტების განხილვის დროებითი წესების დამტკიცების შესახებ.

---

## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

### 83. ა/კსფსრ ტერიტორიაზე ფოტოგრაფიული, კინომატოგრაფიული, და სხვაგვარი სურათების გადაღების წესის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ფოტოგრაფიული და კინომატოგრაფიული სურათების გადაღება, მათ შორის ამ დარგის მოყვარულთა მიერაც, შეიძლება დაუბრკოლებლად, უკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ეს გადაღება სწარმოებს ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნული ადგილების გარეშე და უკეთუ ამ გადაღების ობიექტებად არის არა ის საგნები, რაც ამა დადგენილების მე-3 მუხლშია ჩამოთვლილი, და თანაც სურათები გადაიღება არა თვითმფრინავებიდან.

სათვალზომო, საპანორამო, საგეგმო და ყოველგვარი სხვა ინსტრუმენტალური გადაღება განისაზღვრება განსაკუთრებული წესებით, რასაც გამოსცემს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (ა/კსფსრ-ში), რესპუბლიკანურ პოლიტიკურ სამმართველოსთან და დაინტერესებულ უწყებასთან შეთანხმებით.

2. ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას და კერძო პირს აეკრძალება ფოტოგრაფიული, კინომატოგრაფიული, სათვალზომო, საპანორამო, საგეგმო, საისტრუმენტო და სხვაგვარი სურათის გადაღება სანაპირო ზოლის ფარგალში, გარეშე სპეციალური ნებართვისა, რასაც გასცემენ გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო, ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოები.

ამა მუხლის მოქმედება არა ვრცელდება ფოტოგრაფიულ და კინომატოგრაფიულ სურათის გადაღების მიმართ იმ სანაპირო ადგილებზე, რომლებისათვისაც სრულად არ არის შეფარდებული სანაპირო ზოლისათვის დაწესებული რეჟიმი. აღნიშნული ადგილების სიას დაადგენს გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო—სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

3. აკრძალულია მთლად ა/კსფსრ ტერიტორიაზე, გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს, ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოების სპეციალური ნებართვის გარეშე, ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნული სურათების გადაღება:

ა) პოლიგონებისა, ჰაეროდრომებისა, სამხედრო პორტებისა, სამხედრო საწყობებისა, სამხედრო და საგერი ნაგებობისა და აგრეთვე ყაზარმებისა და ბანაკების შიგნით;

ბ) ხიდების ნაგებობისა, გვირაბებისა, სადგურების საგერი და ყოველგვარი სხვა ნაგებობისა, რაც სარკინისგზო ტრანსპორტისათვის მიკუთვნებულ მიწაზე მდებარეობს.

4. აკრძალულია ყოველგვარი სურათის გადაღება თვითმფრინავებიდან და სხვა საჰაერო მიმოსვლის საშუალებიდან, რაც სსრკ-ის საჰაერო ფლოტს არ ეკუთვნის, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ნებართვის გარეშე ყოველ ცალკე შემთხვევაში.

სამოქალაქო საჰერო ფლოტის ნავეურჭლებიდან საჰერო სურათის გადაღების წესი განისაზღვრება სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული ინსტრუქციით.

5. იმ საგნების ტეხნიკური გადაღება, რაც ამა დადგენილების მე-3 მუხლშია ჩამოთვლი, შეუძლიან აწარმოოს იმ სახელმწიფო დაწესებულებამ და საწარმომ, რომლის გამგებლობაშიაც ეს საგნებია; ამასთანავე, ყოველთვის ეს გადაღება წინასწარ უნდა ეცნობოს გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს, ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოებს.

6. ყოველგვარი სურათის გადაღება იმ სადგომების შიგნით, რომელნიც სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათ და საწარმოთ უჭირავთ, შეიძლება მხოლოდ ამ დაწესებულებათა და საწარმოთა ნებართვით.

7. ამა დადგენილების მე-2, 3 და 4 მუხ. დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. მაისის 9. ტფილისი—სასახლე.

---

## დადგენილება № 130 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**84. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს არაქვემდებარე ორგანოთა და დაწესებულებათა, აგრეთვე კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, სააქციო საზოგადოებათა, საკონცესიო საწარმოთა და კერძო პირთა მიერ ა/კსფსრ-ში განსახორციელებელი სამრეწველო მშენებლობის პროექტების განხილვის დროებითი წესების დამტკიცების შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დროებითი წესები სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს არაქვემდებარე ორგანოთა და დაწესებულებათა, აგრეთვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, სააქციო საზოგადოებათა, საკონცესიო საწარმოთა და კერძო პირთა მიერ ა/კსფსრ-ში განსახორციელებელი სამრეწველო მშენებლობის პროექტების განხილვის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1929. წ. მარტის 14. ტფილის-სასახლე.

# დროებითი წესები

**სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს არაქვემდებარე ორგანოთა და დაწესებულებათა, აგრეთვე კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, სააქციო საზოგადოებათა, საკონცესიო საწარმოთა და კერძო პირთა მიერ ა/კსფსრ-ში განსახორციელებელი სამრეწველო მშენებლობის პროექტების განხილვის შესახებ.**

§ 1. სამრეწველო მშენებლობად ითვლება: ახალი წარმოებითი საწარმოს მშენებლობა, არსებული საწარმოს გაწყობილობის დამთავრება, ხელახლად გაწყობა და გადაკეთება, ამ საწარმოთა კაპიტალური რემონტი, აგრეთვე დამხმარე ნაგებობის აშენება, საბინაო და კომუნალური მშენებლობა, რაც წარმოებითი საწარმოს მომსახურეობას უწევს და რაც განხორციელდება მის ტერიტორიაზე ან საამისოდ საწარმოსათვის მიჩენილ ტერიტორიაზე.

§ 2. იმ სამრეწველო მშენებლობის პროექტები, რასაც ა/კსფსრ-ში ანხორციელებენ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ორგანოები და დაწესებულებები და აგრეთვე მრეწველობის იმ დარგების მშენებლობის პროექტები, რაც შეადგენს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გამგებლობის საგანს, ხოლო განსახორციელებელია სხვა უწყებისა, დაწესებულებისა, ორგანიზაციისა, საზოგადოებისა და კერძო პირის მიერ,—დამტკიცებულ იქნება სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ქვემდებარე სამრეწველო მშენებლობისათვის დადგენილი წესისამებრ (სსრკ-ის ცენ. აღმ. კ-ტისა და სახ. კ-თა საბჭოს 1927 წ. ნოემბრის 23-ს დადგენილება—სსრკ კან. კრ. 1927 წ. 66 №-რი, მუხ. 672 და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ოქტომბრის 25-ს დადგენილება—ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. 21 №-რი, მუხ. 250).

§ 3. ამა წესებით მოწესრიგდება ა/კსფსრ-ში იმ დარგების სამრეწველო მშენებლობა, რაც არ ექვემდებარება სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და რასაც განახორციელებს:

ა) სხვა უწყება—სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი მისი ორგანოს სახით,—და სამეურნეო ანგარიშის პრინციპზე მომქმედი სახელმწიფო საწარმო;

ბ) კოოპერატიული ორგანიზაცია და სახელმწიფო კაპიტალისა ან ბანკის კრედიტის მონაწილეობით მომქმედი სააქციო საზოგადოება;

გ) ესა თუ ის ორგანიზაცია, სააქციო საზოგადოება, საკონცესიო და სხვა საწარმო და კერძო პირი—სახელმწიფო თუ კოოპერატიული კაპიტალის უმონაწილეოდ.

**შენიშვნა.** მთავარი სამხედრო სამმართველოს სამრეწველო მშენებლობა, აგრეთვე სამრეწველო მშენებლობა ტრანსპორტზე მოწესრიგდება სპეციალური დადგენილებით და ამა წესების მოქმედებას არ ექვემდებარება.

§ 4. სამრეწველო მშენებლობის განხორციელება ამა წესების მე-3 §-ის „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნულ ორგანიზაციებს შეუძლიანთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი გათვალისწინებულია არსებული წესისამებრ დამტკიცებული საპერსპექტივო და წლიური საწარმოო-საფინანსო გეგმებით, და მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დამტკიცებული იქნება მშენებლობის საბოლოო ტეხნიკური პროექტი მთლიანად—ამა წესებში აღნიშნული წესის თანახმად.

**შენიშვნა.** ამა წესების მე-3 §-ის „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნული წესისამებრ განსახორციელებლად განზრახული თვითეული ცალკე მშენებლობისათვის,—ა/კსფსრ-ისა და მასში შემავალი რესპუბლიკის სათანადო სახალხო კომისარიატის ნებართვით ან დაწესებულებისა თუ ორგანიზაციის მეთაური ორგანოს ნებართვით,—კაპიტალური მშენებლობობის წლიურ საწარმოო-საფინანსო გეგმაში შეიძლება შეტანილ იქნეს საჭირო თანხა პროექტის საბოლოო დამტკიცებამდეც, თანახმად დამტკიცებული ამოცანისა, და შეიძლება მინიჭებულ იქნეს უფლება სათანადო თანხების დახარჯვისა: ა) ძიებლობისათვის; ბ) პროექტის შედგენისათვის.

§ 5. უკეთუ მშენებლობის ღირებულება აღემატება შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1927 წ. ნოემბრის 25-ს დადგენილებით მრეწველობის ცალკე დარგებისათვის განსაზღვრულ ლიმიტებს,—მშენებლობის განმახორციელებელი დაწესებულება საესკიზო პროექტს წარადგენს 4 ცალად რესპუბლიკის სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტში, რომელიც განიხილავს პროექტს იმ მხრით, თუ რამდენად შეესაბამება იგი ადგილის გეგმასა და მის მოწესრიგებას, რამდენად დაცულია მომქმედი სამშენებლო ნორმები და ადგილობრივი სავალდებულო დადგენილებები მშენებლობის შესახებ, რამდენად გამოყენებულია ადგილობრივი მასალა და რამდენად შეესაბამება პროექტი საცნობო ფასებსა და გადიდებული მზომების მიღებულ ღირებულებას.

ამის გარდა, სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტი განიხილავს პროექტს უშიშროების ტეხნიკისა, შრომის ჰიგიენისა და საერთო სანიტარიის მხრით—„სამრეწველო მშენებლობის დროს წინასწარ გამაფრთხილებელი სანიტარულ-

ტეხნიკური ზედამხედველობის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ნოემბრის 1-ს დადგენილებით (ა/კსფსრ კან. კრებ 1928 წ. 21 №-რი, მუხ. 241) გათვალისწინებული წესისამებრ.

განხილვის შემდეგ სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტი გაჰგზავნის პროექტს 2 ცალად, თავის დასკვნითურთ, ამიერკავკასიის სატეხნიკო-სამშენებლო კომიტეტში, რომელიც გადასცემს პროექტს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სამრეწველო სექციას აზრის გამოსათქმელად იმის თაობაზე, თუ რამდენად არის პროექტი დაკავშირებული მრეწველობის უწყებული დარგის განვითარების გეგმასთან, და აგრეთვე პროექტის ტეხნოლოგიური და ეკონომიური ნაწილის ექსპერტიზისათვის.

ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის დასკვნის მიღებისას, სატეხნიკო-სამშენებლო კომიტეტი განიხილავს პროექტს ტეხნიკური და ეკონომიური მიზანშეწონილობის მხრით და ან უარჰყოფს პროექტს, ან დაამტკიცებს როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივი შესწორებით, და დაუბრუნებს პროექტის 1 ცალს, თავისი დადგენილების ასლითურთ, მის წარმდგენ ორგანოს.

§ 6. უკეთუ პროექტის წარმდგენი ორგანო ან პირი თანახმა არ იქნება ამიერკავკასიის სატეხნიკო-სამშენებლო კომიტეტის დადგენილებისა, იგი წარმოშობილ შეუთანხმებლობას წარუდგენს, არსებული წესისამებრ, ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს გადასაწყვეტად.

§ 7. უკეთუ მშენებლობის ღირებულება არ აღემატება შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1927 წ. ნოემბრის 25-ს დადგენილებით განსაზღვრულ ლიმიტებს, ხოლო აღემატება 50.000 მან.,—მშენებლობის განმახორციელებელი ორგანო წარმართავს საესკიზო პროექტს 3 ცალად რესპუბლიკის სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტში, რომელიც პროექტის 1 ცალს გაუგზავნის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს აზრის გამოსათქმელად პროექტის ტეხნოლოგიური და ეკონომიური ნაწილების შესახებ და, ამ აზრის მიღებისას, განიხილავს პროექტს მე-4 §-ში აღნიშნული წესისამებრ, აგრეთვე ეკონომიური და ტეხნოლოგიური მიზანშეწონილობის მხრით; ამის შემდეგი იგი ან უარჰყოფს პროექტს, ან დაამტკიცებს როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივი შესწორებით, და პროექტის 1 ცალს, თავისი დადგენილების ასლითურთ, დაუბრუნებს მის წარმდგენ ორგანოს.

§ 8. უკეთუ პროექტის წარმდგენი ორგანო თანახმა არ იქნება რესპუბლიკანური სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის დადგენილებისა, იგი წარმოშობილ შეუთანხმებლობას წარუდგენს, არსებული წესისამებრ, რესპუბლიკის ეკონომიურ თათბირს გადასაწყვეტად.

§ 9. უკეთუ მშენებლობის ღირებულება 50.000 მან. არ აღემატება, საესკიზო პროექტის შედგენა და განხილვა სავალდებულო არ არის; უკეთუ საესკიზო პროექტი შედგენილი იქნება, მასზედ ვრცელდება მე-10 §-ის მოქმედება, ისე, როგორც საბოლოო პროექტზედაც.

§ 10. დამტკიცებული საესკიზო პროექტის თანახმად შედგენილი საბოლოო პროექტი განიხილება და დამტკიცდება:

ა) როდესაც მშენებლობის ღირებულება ლიმიტებს აღემატება—მე-5 და 6 §§-ში აღნიშნული წესით;

ბ) როდესაც მშენებლობის ღირებულება ლიმიტებს არ აღემატება, ხოლო 50.000 მან. მეტია—მე-7 და 8 §§-ში აღნიშნული წესით;

გ) უკეთუ მშენებლობის ღირებულება 50.000 მან. არ აღემატება, საბოლოო პროექტი 3 ცალად წარიმართება სამშენებლო კონტროლის ადგილობრივ ორგანოში, რომელიც განიხილავს და დაამტკიცებს პროექტს, ან უარჰყოფს მე-7 §-ში აღნიშნული წესისამებრ.

**შენიშვნა.** უკეთუ პროექტის შემტანი ორგანო თანახმა არ არის სამშენებლო კონტროლის ადგილობრივი ორგანოს დადგენილებისა, იგი წარმოშობილ შეუთანხმებლობას წარუდგენს, არსებული წესისამებრ, რესპუბლიკანურ სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს.

§ 11. მე-3 §-ის „გ“ პუნ. აღნიშნული ორგანიზაციებისა და პირების მიერ განსახორციელებელი სამრეწველო მშენებლობის პროექტების განხილვისა და დამტკიცების წესი იგივეა, რაც მე-5—10 §§-ში აღნიშნული წესი, ხოლო ამ შემთხვევაში სახარჯთაღრიცხვო მხარე არ განიხილება.

§ 12. საესკიზო და საბოლოო ტეხნიკური პროექტები თავისი შინაარსით უნდა შესაბამებოდეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1928 წლის ივლისის 12-ს დამტკიცებულ „ა/კსფსრ სამრეწველო მშენებლობის პროექტების შედგენილობის დროებითი წესების“ მოთხოვნებს.

§ 13. პროექტების განხილვის უკიდურეს ვადებად დაწესებულია:

ა) სამშენებლო კონტროლის ადგილობრივი ორგანოსათვის—1 თვე;

ბ) რესპუბლიკანური სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტისათვის—$1^1/_2$ თვე;

გ) ამიერკავკასიის სატეხნიკო-სამშენებლო კომიტეტისათვის—$1^1/_2$ თვე.

**შენიშვნა 1.** იმ შემთხვევაში, როდესაც სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტი ჰგზავნის პროექტს თავისი დასკვნითურთ, ვადა 1 თვემდე შემცირდება.

**შენიშვნა.** ეს ვადები ჩაითვლება დღიდან ყველა იმ მასალის წარდგენისა, რაც საჭიროა განხილვისათვის. მოთხოვნა—დანაკლისი მასალის წარდგენის შესახებ განცხადებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი კვირისა პროექტის შესვლის დღიდან.

---

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა
მთავლიტი № 1009. დაიბეჭდა 800.